საერთო უპირატესობა თუ კონტრშეტევა?

საწვრთნელ–საკონტროლო მატჩებს მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთათვის. ადრიან გაზაფხულზე, როცა კოლექტივი არა დგას ქულათა დაკარგვის საშიშროების წინაშე, მწვრთნელებს საშუალება აქვთ თავისუფლად, რისკის გარეშე გამოსცადონ ახალი მოთამაშეები.

ამ მიმართებით 25 მარტის საწვრთნელმა მატჩმა თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის, რომელიც თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა, საგრძნობლად დაკარგა თავისი მთავარი დანიშნულება. ძლიერი ქარი, რომელიც არ შემწყდარა მთელი მატჩის განმავლობაში, ხელს უშლიდა ფეხბურთელებს არა თუ სასწავლო ხასიათის ამოცანათა შესრულებაში, არამედ საერთო ორმხრივი ბრძოლის წარმოებაშიც. ბურთი უმთავრესად ემორჩილებოდა ქარს და არა მოთამაშეებს.

მიუხედავად ამისა, მატჩის სანახაობითი მხარე საკმაოდ საინტერესო გამოდგა. კიეველები თამაშობდნენ ჩვეული კომბინაციური იერიშებით, ბევრს მოძრაობდნენ და კარგად იყენებდნენ გარემარბებს. ჩემპიონის დაცვაში უნარიანად მოქმედებდა 4 მცველი, რომელთაგან „დირიჟორის“ როლს ტურიანჩიკი ასრულებდა. შეტევაში კიეველები ცდილობდნენ ხელსაყრელ პოზიციაში გაეყვანათ ვოინოვი და შეექმნათ თუნდაც წამიერი მომენტი კარში დასარტყმელად. ასეთი მომენტი მას რამდენიმეჯერ ჰქონდა, მაგრამ „ბომბარდირის“ დარტყმებიდან არც ერთი არ გამოდგა ზუსტი.

თბილისელთა თამაშში, პირდაპირ უნდა ითქვას, არ ჩანდა ის მთლიანობა და სიმწყობრე, რომელიც მათს მოწინააღმდეგეს გააჩნდა. გადაცემათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებული იყო სიზუსტეს. ხშირად ირღვეოდა ურთიერთმოქმედება, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ დაცვამ და მეკარემ გაუძლეს კიეველთა ხშირ იერიშებს და მატჩი დაამთავრეს ისე, რომ არ მიუღიათ ბურთი საკუთარ კარში.

ტერიტორიული უპირატესობა აშკარად ჩემპიონის მხარეს იყო, მაგრამ მასპინძლებმა კონტრშეტევაზე ააგეს თამაში და საკმაოდ უნარიანადაც, ვინაიდან ფორვარდების თითოეული გამოჩენა მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე სახიფათო და ეფექტური იყო. სწორედ ასე იქნა გატანილი პირველი ბურთი 26–ე წუთზე ხოჭოლავას, კალოევისა და იამანიძის მიერ გათამაშებული კომბინაციის შედეგად. რაც შეხება მეორე გოლს, იგი შეიძლება საფეხბურთო შედევრების კატეგორიას მიეწეროს. კომბინაციაში მონაწილეობდა თითქმის მთელი თავდასხმა და დასკვნითი დარტყმა თავით კალოევმა საუკეთესოდ შეასრულა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

გუნდები ამ მატჩში მონაწილეობდნენ ასეთი შემადგენლობით: კიევი – რაზინსკი; შჩეგოლკოვი, ტურიანჩიკი, შჩერბაკოვი; ვოინოვი, ვერიგინი; ბაზილევიჩი, ბიბა, მედვედი, ტროიანოვსკი, ლობანოვსკი. თბილისი – კვასხვაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე (პეტრიაშვილი), გ. სიჭინავა, ფიფია, მელაშვილი, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

რ. ქორიძე
27 მარტი, 1961 წ.